

მიმდინარე წლის 22 ნოემბერს საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გააჟღერა წინადადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და კერძო სამართლის იურიდიული პირის „მე-9 არხის“ სავარაუდო შერწყმის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გასათვალისწინებელია რამოდენიმე სამართლებრივი გარემოება:

პირველ რიგში მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის, მე-15 მუხლის შესაბამისად: „პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით ეს კანონი აფუძნებს ერთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას“.

პრემიერის განცხადებების ის ნაწილი, რომელიც მაუწყებლის სარედაქციო გადაწყვეტილებებს შეეხებოდა, ისევე როგორც შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ალტერნატიული საზოგადოებრივი მაუწყებლობის შექმნა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კანონის დამფუძნებელ და სხვა (16,18) მუხლებთან.

შესაბამისად პრემიერის წინადადებიდან სამართლებრივი თვალსაზრისით განხილვას შეიძლება ექვემდებარებოდეს მხოლოდ ორი შემთავაზება. კერძოდ:

1. **„მე-9 არხის“ მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის გადაცემა** - მოქმედი კანონმდებლობით „მე-9 არხისგან“ შემოსულ, შესაბამისი აუდიტორული დასკვნებით გამაგრებულ ასეთ შემთავაზებას იხილავს მაუწყებლის გენერალური დირექტორი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 30, ე) პუნქტის თანახმად, თუ შეთანხმების (გარიგების) ღირებულება აღემატება მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს (სავარაუდოდ „მე-9 არხის“ აქტივების ღირებულება გადააჭარბებს მითითებულ ციფრს) საბოლოო გადაწყვეტილებას სამეურვეო საბჭო იღებს.

2. **„მე-9 არხის“ ადამიანური რესურსის (ან მისი ნაწილის) საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმება** - მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 32, 4 პუნქტის თანახმად გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს და წარმართავს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობას, წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, შესაბამისად მხოლოდ მის უფლებამოსილებაშია თანამშრომელთა დაქირავება.

ნებისმიერ სხვა ასპექტში საუბარი საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალზე აღქმული იქნება, როგორც პირდაპირი, ან ირიბი ზეწოლა და მმართველი კოალიციისა და მისი ლიდერების პოლიტიკური სურვილებისა და ინტერესების საკანონმდებლო ლეგალიზაცია. ორივე ეს შემთხვევა თანაბრად მიუღებელია.